



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 5 23 0001568456



16/11/2023

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ 2023 წლის 18 მაისის

№563676 წერილით წარმოდგენილ იქნა "ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი.

2.2. ცენტრის 2023 წლის 01 ივნისის №629413 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 07 ივლისის №844631 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 17 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 03 ნოემბერს, სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე

აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა ა(ა)იპ - ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ "ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 16 ნოემბრის №1564737 ოქმის №04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლების ზოგიერთი მეთოდის („ცოდნის ტესტირება“) დასახელების დაზუსტება, სწავლების მეთოდების სწორად გამოყენება და მათი შეფასების მეთოდებისგან გამიჯვნა;
- რეკომენდებულია, ხარისხის კონტროლის ღონისძიებების გაძლიერება პროგრამის გარკვეული სფეროების გასაუმჯობესებლად, როგორცაა: პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის დადგენა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან უფრო თანამშრომლობითი პროცესების წარმართვა, სწავლების მეთოდების სათანადო გამოყენება და მათი გამოყოფა შეფასების მეთოდებისგან და ა.შ.

რჩევები:


- კარგი იქნება, თუ აუდიტორიებში სტუდენტებისთვის შეიქმნება უფრო კრეატიული გარემო, სადაც შეძლებენ დააკვირდნენ საკუთარ ნამუშევრებს, შეხედონ საკუთარ თავს გარედან და აღმოაჩინონ საკუთარი ყოფნა გარემოში;
- პროგრამის განვითარების მიზნით, მომავალში, პროგრამის მონიტორინგისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემოქმედებითი პოტენციალის და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე;

- საჭიროა მოხდეს შემდგომი გაუმჯობესებები ფიზიკური რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით, რათა სრულად ჩამოყალიბდეს ინკლუზიურობა;
- სასურველია ბიუჯეტის ამსახველი დოკუმენტი უფრო დეტალურად იყოს გაწერილი და მოიცავდეს საჭირო კვლევითი საქმიანობის ხარჯებს (სამეცნიერო გრანტები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო მისიები და ა.შ.);
- სასურველია, რომ გარე შეფასების დოკუმენტები ასახავდეს პროგრამის განვითარებისაკენ მიმართულ რეკომენდაციებს.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 16 ნოემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი ვიზუალურ კომუნიკაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	მარი ბროსეს 2, თბილისი, საქართველო, 0108
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
16	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 16 ნოემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 16 ნოემბერი